



ქვე-პროექტი - შადრევნის რეაბილიტაცია წყალტუბოს პარკში
(ქალაქ წყალტუბოს მუნიციპალიტეტი)

ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი და
გარემოსდაცვითი მართვის გეგმა

მსოფლიო ბანკი

მეორე რეგიონული განვითარების პროექტი (RDP 2)

თბილისი, საქართველო

განახლებულია: იანვარი 2020

გარემოსდაცვითი სკრინინგი

წარმოდგენილი ქვე-პროექტი - შადრევნების რეაბილიტაცია ქალაქ წყალტუბოში, მოიცავს მათ სრულად აღდგენას, ასევე დამატებითი ფუნქციების მატარებელი სისტემების მონტაჟს. წყალტუბოს პარკში არსებული მუსიკალური შადრევანი, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში გაშენდა, შედგება სამი მრგვალი, სხვადასხვა ზომის აუზისგან. აუზები ერთმანეთს მართკუთხა აუზით უკავშირდება, აგრეთვე მოწყობილია პატარა საფეხმავლო ხიდი. შადრევნის ყველა სტრუქტურული ელემენტი დამზადებულია რკინა-ბეტონისაგანა შადრევანი სავალალო მდგომარეობაშია. გრანიტის ფილების უმეტესობა გაბზარულია, ფილების ზოგი ნაწილი კი ჩამოტეხილია კედლიდან. ელექტრო და წყალმომარაგების ქსელი, აგრეთვე - საკანალიზაციო სისტემა გამოსულია მწყობრიდან. საკონტროლო ნაგებობის სახურავი დაზიანებულია და ჟონავს, რაც აზიანებს სახურავისა და შიდა იატაკის ხის სტრუქტურებს. ამასთან, შენობის ფასადის მოსაპირკეთებლად გამოყენებულია აკრძალული, ჯანმრთელობისთვის სახიფათო მასალა - აზბესტი.

არსებული შადრევნის ადგილას მოეწყობა ე.წ. „მშრალი ინტერაქტიული შადრევნი“ – ყველაზე დიდ, მრგვალ აუზზე მოეწყობა საფეხმავლო ბაქანი, რის შედეგადაც ხალხი შეძლებს შადრევნის შიგნით სიარულს და პირდაპირი კონტაქტის დამყარებას წყლის მოცეკვავე ნაკადთან. წყლის ჭავლის სიმაღლე 2 - 3 მეტრი იქნება და სინქრონიზებულად განათდება. შადრევნის კონტროლი მოხდება პროგრამირებადი მართვის სისტემით. გაშუქების დროს ასევე იმუშავებს განმთავსებელს. ფართო სპექტრის მქონე ორი დინამიკი დამონტაჟდება შადრევნის გარშემო არსებულ ბოძებზე, 4 მეტრის სიმაღლეზე, საიდანაც ხმის ტალღები მთელ მოედანს დაფარავს.

შადრევნის რეაბილიტაციისას შემდეგი სამუშაოები უნდა ჩატარდეს:

- მოსამზადებელი სამუშაოები;
- სადემონტაჟო სამუშაოები;
- იზოლაციის მოწყობა;
- შადრევნის მრგვალი აუზის პლატფორმის მოწყობა;
- წყლის ფარდის ლითონის კონსტრუქციის მოწყობა;
- წყალმომარაგების ქსელის მოწყობა;
- ელექტრომომარაგების ქსელის მოწყობა;
- მიმდებარე ტერიტორიის სარემონტო სამუშაოები;
- თეატრის წინ სადრენაჟო არხის მოწყობა;
- შენობა-ნაგებობის მოწყობა, სატუმბი და ფილტრაციის სისტემის მართვა (საკონტროლო შენობა);
- მიწის და გამაგრებითი სამუშაოები;
- შენობის მშენებლობა;
- წყლის კანალიზაციის ქსელების მოწყობა;
- HAVC ქსელების მონტაჟი;
- ელექტრო ქსელის მონტაჟი.

ამასთანავე, ქვეპროექტის ფარგლებში მოეწყობა არსებული სტანდარტების შესაფერისი საზოგადოებრივი საპირფარეშო, რომ ტერიტორიაზე გაუმჯობესდეს სანიტარული პირობები. შადრევნის მახლობლად საპირფარეშო არაა, წყალტუბოს პარკში ადრე გაშენებული

ტუალეტები პარკის მეორე ბოლოს, შადრევნისგან დაახლოებით 2კმ დაშორებით მდებარეობს. როგორც უკვე აღინიშნა, ეს ადგილი ტრადიციული თავშეყრის ზონას წარმოადგენს ადგილობრივებისა და ტურისტებისთვის. შესაბამისად, არსებობს ძველის ადგილზე ახალი საპირფარეოს მოწყობის საჭიროება. ძველი ტუალეტების დემონტაჟი მოხდა 2012 წელს და დღეისათვის ტერიტორია გასუფთავებულია სამშენებლო ნარჩენებისგან. ახალი ტუალეტების კანალიზაციის სისტემა მიუერთდება ქალაქის კანალიზაციის ცენტრალურ ქსელს. ტუალეტები ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის.

(A) ზემოქმედების იდენტიფიცირება

<p>ექნება თუ არა ქვე-პროექტს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე?</p>	<p>ქვე-პროექტს არ ექნება მნიშვნელოვანი ან შეუქცევადი უარყოფითი გავლენა გარემოზე. მგრძობიარე გარემო რეცეპტორები არ დაზიანდება.</p>
<p>რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?</p>	<p>ქვე-პროექტს ექნება მოსალოდნელი დადებითი გრძელვადიანი ზემოქმედება სოციალურ გარემოზე, რამდენადაც მოხდება წყალტუბოს პარკში შადრევნის მოწყობა და ხელს შეუწყობს ტურისტებისა და ვიზიტორების სიმრავლეს. ამასთან, რამდენადაც ქვე-პროექტი ითვალისწინებს აზბესტის შემცველი მილების მოხსნას, შეიქმნება უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო პარკის სტუმრებისთვის.</p> <p>ქვე-პროექტის შედეგად, გარემონტდება არსებული შადრევნები და მიეცემა ახლებური სახე. აღნიშნული კი, თავის მხრივ, იქნება გარემოსდაცვითი სარგებელი, რამდენადაც ახალი სისტემით მუშაობის შედეგად, დაიზოგება წყლის რესურსები და მოხდება მისი რაციონალური გამოყენება.</p> <p>ბუნებრივ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენა არის მოკლევადიანი და დამახასიათებელი ურბანულ გარემოში მცირე/საშუალო სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის: ხმაური, მტვერი, ვიბრაცია და ემისიები მძიმე ტექნიკის მოძრაობისა და ექსპლუატაციის შედეგად, სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა. უარყოფითი ზემოქმედება აგრეთვე დაკავშირებულია აზბესტის შემცველი მასალების მოხსნის პროცესთან.</p> <p>ყველა ზემოხსენებული ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო და მოკლევადიანი.</p>

<p>შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედებას ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?</p>	<p>ქვე-პროექტის მიმდინარეობისას არ ექნება ადგილი განსახლებას ან/და მიწის არა ნებაყოფლობით დათმობას.</p> <p>შადრევნები მდებარეობს წყალტუბოს პარკში, მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია როგორც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრება. საკადასტრო ინფორმაცია თანდართულია.</p> <p>რეაბილიტაციის პროცესში ადგილობრივ მოსახლეობას არ შეეზღუდება წყალმომარაგება და ელექტრომომარაგება. მხოლოდ წყალმომარაგების სისტემის მცირე ნაწილი გადაიკეტება რამდენიმე საათით, როცა შადრევნის წყალმომარაგების მილები შეუერთდება მუნიციპალიტეტის ქსელს. ამის შესახებ მოსახლეობას წინასწარ მიეწოდება ინფორმაცია.</p> <p>ქვე-პროექტს ექნება დადებითი სოციალური გავლენა, რამდენადაც მოხდება წყალტუბოს პარკში არსებული შადრევნების რეაბილიტაცია და განახლება. აღნიშნული ხელს შეუწყობს ვიზიტორების სიმრავლეს.</p> <p>ადგილობრივი მოსახლეობისათვის უარყოფითი ზემოქმედება კი არის მოკლე ვადიანი, ვრცელდება მხოლოდ სამშენებლო ტერიტორიაზე და უკავშირდება ზემოთ აღწერილ მშენებლობის ეტაპს.</p>
---	--

(B) ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

<p>განხილული იქნა თუ არა ქვე-პროექტის მოცემული დიზაინის ალტერნატიული ვარიანტები?</p>	<p>აღნიშნული პროექტი ინიცირებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ და, ვინაიდან ითვალისწინებს უკვე არსებული შადრევნების სრულ რეაბილიტაციას, სხვა ალტერნატივა არ იქნა განხილული.</p>
<p>ზემოქმედების შერბილების რა ღონისძიებებია გათვალისწინებული?</p>	<p>მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედებების შემცირება ადვილად შესაძლებელია მშენებლობის ობიექტის შემოსაზღვრით, სატრანსპორტო მენეჯმენტით, სამშენებლო ტექნიკის კეთილმოწყობით, სამუშაო საათების დაცვით და ნარჩენების კარგად ორგანიზებული გადატანით ფორმალრად შეთანხმებულ უბნებზე.</p> <p>კონტრაქტორი პასუხისმგებელი იქნება, რომ ნარჩენები განათავსოს შეთანხმებულ ადგილას, გამოიყენოს მხოლოდ ლიცენზირებული კარიერებიდან მოპოვებული ინერტული მასალა, თავიდან აიცილოს წყლისა და ნიადაგის დაბინძურება (საწვავის/ზეთების დაღვრა სატრანსპორტო</p>

	<p>საშუალებებისა და მექანიზმების გაუმართაობის გამო, ასფალტისა და ბეტონის ნარჩენებით დაბინძურება), მოსახლეობის შეწუხება (ხმაურით, მტვერით და ემისიებით) შერბილდება მუშაობის/ მასალების მიწოდების განრიგის დაცვის გზით, მოძრაობის მართვით, სამშენებლო მექანიზმების შესაბამისი მოვლით და სხვა ღონისძიებებით.</p> <p>აზბესტის შემცველი განთავსებული იქნება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N145 დადგენილებით დამტკიცებული „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნათა შესაბამისად.</p> <p>საოპერაციო ტრენინგი ჩატარდება კონტრაქტორის მხრიდან იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს შადრევნების გამართული მუშაობა და აგრეთვე ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოება.</p>
<p>წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?</p>	<p>მუნიციპალური განვითარების ფონდს აქვს სხვადასხვა დონორის მიერ დაფინანსებული შენობების რეაბილიტაციისა და მშენებლობის საშუალო და მსხვილმასშტაბიანი პროექტების განხორციელების დიდი გამოცდილება. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროექტი მოიცავს არამხოლოდ არსებული შადრევნების რეაბილიტაცია-განახლებას, არამედ - საპირფარეშოების მშენებლობასა და აგრეთვე - პერგოლის მოწყობას ვიზიტორებისათვის დამატებითი კომფორტის შესაქმნელად სოციალური სარგებლის თვალსაზრისით. ამასთან, ახლად აშენებული საპირფარეშო ადაპტირებული იქნება შშმ პირთათვის,</p>
<p>ჩართული იყო თუ არა ადგილობრივი მოსახლეობა ქვე-პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ცოდნა?</p>	<p>ქვე-პროექტი მომზადებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ საკრებულოსთან კონსულტაციით და არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე.</p> <p>ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებულია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ და მათი ინტერესები გათვალისწინებული იქნა ქვე-პროექტის მომზადებისას.</p> <p>გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის წინამდებარე სამუშაო ვერსია საჯაროდ გამოქვეყნდა და განხილულ იქნა დაინტერესებულ მხარეებთან საჯარო კონსულტაციაზე სამუშაოთა ტენდერზე გატანამდე, 2018 წლის 8 ივნისს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დარბაზში. საჯარო განხილვის დოკუმენტაცია თანდართულია.</p>

(C) რანჟირება

მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების რეგულაციის OP/BP 4.01 შესაბამისად ქვე-პროექტი კლასიფიცირებული იქნა როგორც კატეგორია B და საჭიროებს გარემოსდაცვითი მართვის საკონტროლო ჩამონათვალის შევსებას მცირე მოცულობის სამშენებლო და სარეაბილიტაციო პროექტებისათვის

სოციალური სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის განხორციელების ტერიტორიის მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და ექვემდებარება თუ არა დადასტურებას? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)	√	
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას ეკონომიკურ რესურსებზე, როგორცაა მიწა, სამოვრები, წყალი, საერთო საზოგადოებრივი საჭიროების ობიექტები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობაა დამოკიდებული?		√
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შეძენა (საზოგადოებრივი ან კერძო, დროებით ან მუდმივად)?		√
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის (მარცვლეული, ხეხილი) ან საოჯახო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბელელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		√
<p>თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP 4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP 4.12-ისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.</p>			
კულტურული რესურსების უსაფრთხოების სკრინინგის ინფორმაცია		დიახ	არა
5	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტი ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მიმდებარედ ექსკავაციას?		√
<p>თუ მე-5 შეკითხვაზე პასუხი არის დადებითი, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP 4.11 საოპერაციო პოლიტიკა ფიზიკური კულტურული რესურსების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP და გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად.</p>			

გარემოს დაცვის მართვის გეგმა

ნაწილი A: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები	
ქვეყანა	საქართველო
პროექტის დასახელება	რეგიონული განვითარების მეორე პროექტი (RDP 2)
ქვე-პროექტის დასახელება	ქვეპროექტი - შადრევნის მოწყობა წყალტუბოს პარკში
ქმედებების მოცულობა ქვე-პროექტის ფარგლებში	<p>წარმოდგენილი ქვე-პროექტი - შადრევნების რეაბილიტაცია ქალაქ წყალტუბოში, მოიცავს მათ სრულად აღდგენას, ასევე დამატებითი ფუნქციების მატარებელი სისტემების მონტაჟს. წყალტუბოს პარკში არსებული მუსიკალური შადრევანი, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში გაშენდა, შედგება სამი მრგვალი, სხვადასხვა ზომის აუზისგან. აუზები ერთმანეთს მართკუთხა აუზით უკავშირდება, აგრეთვე მოწყობილია პატარა საფეხმავლო ხიდი. შადრევნის ყველა სტრუქტურული ელემენტი დამზადებულია რკინა-ბეტონისაგანა შადრევანი სავალალო მდგომარეობაშია. გრანიტის ფილების უმეტესობა გაბზარულია, ფილების ზოგი ნაწილი კი ჩამოტეხილია კედლიდან. ელექტრო და წყალმომარაგების ქსელი, აგრეთვე - საკანალიზაციო სისტემა გამოსულია მწყობრიდან. საკონტროლო ნაგებობის სახურავი დაზიანებულია და ჟონავს, რაც აზიანებს სახურავისა და შიდა იატაკის ხის სტრუქტურებს. ამასთან, შენობის ფასადის მოსაპირკეთებლად გამოყენებულია აკრძალული, ჯანმრთელობისთვის სახიფათო მასალა - აზბესტი.</p> <p>არსებული შადრევნის ადგილას მოეწყობა ე.წ. „მშრალი ინტერაქტიული შადრევნით“ – ყველაზე დიდ, მრგვალ აუზზე მოეწყობა საფეხმავლო ბაქანი, რის შედეგადაც ხალხი შეძლებს შადრევნის შიგნით სიარულს და პირდაპირი კონტაქტის დამყარებას წყლის მოცეკვავე ნაკადთან. წყლის ჭავლის სიმაღლე 2 - 3 მეტრი იქნება და სინქრონიზებულად განათდება. შადრევნის კონტროლი მოხდება პროგრამირებადი მართვის სისტემით. გაშუქების დროს ასევე იმუშავებს გახმოვანებაც. ფართო სპექტრის მქონე ორი დინამიკი დამონტაჟდება შადრევნის გარშემო არსებულ ბოძებზე, 4 მეტრის სიმაღლეზე, საიდანაც ხმის ტალღები მთელ მოედანს დაფარავს.</p> <p>შადრევნის რეაბილიტაციისას შემდეგი სამუშაოები უნდა ჩატარდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> - მოსამზადებელი სამუშაოები; - სადემონტაჟო სამუშაოები; - იზოლაციის მოწყობა; - შადრევნის მრგვალი აუზის პლატფორმის მოწყობა; - წყლის ფარდის ლითონის კონსტრუქციის მოწყობა;

	<ul style="list-style-type: none"> - წყალმომარაგების ქსელის მოწყობა; - ელექტრომომარაგების ქსელის მოწყობა; - მიმდებარე ტერიტორიის სარემონტო სამუშაოები; - თეატრის წინ სადრენაჟო არხის მოწყობა; - შენობა-ნაგებობის მოწყობა, სატუმბი და ფილტრაციის სისტემის მართვა (საკონტროლო შენობა); - მიწის და გამაგრებითი სამუშაოები; - შენობის მშენებლობა; - წყლის კანალიზაციის ქსელების მოწყობა; - HAVC ქსელების მონტაჟი; - ელექტრო ქსელის მონტაჟი. <p>ამასთანავე, ქვეპროექტის ფარგლებში მოეწყობა არსებული სტანდარტების შესაფერისი საზოგადოებრივი საპირფარეშო, რომ ტერიტორიაზე გაუმჯობესდეს სანიტარული პირობები. შადრევნის მახლობლად საპირფარეშო არაა, წყალტუმბოს პარკში ადრე გაშენებული ტუალეტები პარკის მეორე ბოლოს, შადრევნისგან დაახლოებით 2კმ დაშორებით მდებარეობს. როგორც უკვე აღინიშნა, ეს ადგილი ტრადიციული თავშეყრის ზონას წარმოადგენს ადგილობრივებისა და ტურისტებისთვის. შესაბამისად, არსებობს ძველის ადგილზე ახალი საპირფარეშოს მოწყობის საჭიროება. ძველი ტუალეტების დემონტაჟი მოხდა 2012 წელს და დღეისათვის ტერიტორია გასუფთავებულია სამშენებლო ნარჩენებისგან. ახალი ტუალეტების კანალიზაციის სისტემა მიუერთდება ქალაქის კანალიზაციის ცენტრალურ ქსელს. ტუალეტები ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის.</p>		
ინსტიტუციონალური ორგანიზება (მსოფლიო ბანკი)	ჯგუფის ხელმძღვანელი: ვიკა როსარიო ბოგაერტი		უსაფრთხოების სპეციალისტები: დარეჯან კაპანაძე - გარემოსდაცვითი, დავით ჯიჯელავა - სოციალური
განხორციელების ორგანიზება (მსესხებელი)	განმახორციელებელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	სამუშაოთა ზედამხედველი: საკონსულტაციო კომპანია „ეპტისა“	სამუშაოთა კონტრაქტორი: შპს ჯავა
ადგილმდებარეობის აღწერა			

<p>ინსტიტუტის დასახელება, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი</p>	<p>წყალტუბოს მუნიციპალიტეტი</p>
<p>ინსტიტუტის მისამართი, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი</p>	<p>ქალაქი წყალტუბო, რუსთაველის 25 ელ.ფოსტა – Tskaltubo1@gmail.com</p>
<p>ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი? ვინ არის მოსარგებლე (ოფიციალურად/არაოფიციალურად)</p>	<p>შადრევანი მდებარეობს წყალტუბოს პარკში, მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია როგორც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრება. საკადასტრო ინფორმაცია თანდართულია ამ დოკუმენტზე.</p>
<p>ფიზიკური და ბუნებრივი გარემო</p>	<p>წყალტუბო მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, სამხრეთ კავკასიონის ძირში, 10 კილომეტრში ქალაქ ქუთაისიდან, 100 კილომეტრში თბილი შავი ზღვიდან და 230 კილომეტრში თბილისიდან, საქართველოს დედაქალაქიდან.</p> <p>კლინიკური მონაცემები აჩვენებს წყალტუბოს, როგორც გამაჯანსაღებელი კურორტის, სამკურნალო თვისებების მნიშვნელოვნად ფართო სპექტრს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უნიკალური თბილი რადიოაქტიური გაზური წყლები (აბაზანები), რომლებიც უძველესი დროიდანაა ცნობილი.</p> <p>წყალტუბოს მინერალურ წყლებს ფართე სამედიცინო თვისებები გააჩნია, მას შეუძლია განკურნოს სამოცამდე დაავადება. ის საოცრად ეხმარება პაციენტებს, რომლებსაც აქვთ სახსრების დაავადება, პროფესიული ნერვული სისტემის დაავადება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადება, კანის დაავადება, მეტაბოლიზმის დარღვევა, ენდოკრინული ჯირკვლების დაავადება, გინეკოლოგიური დარღვევები და სხვა მრავალი. თუმცა, 1970-იანი წლების შემდეგ, ამ ჩამონათვალს შეემატა „სპელეოთერაპია“, რომელის მოიაზრებს ფილტვის დაავადებების შემსუბუქებას ადგილობრივი გამოქვაბულების გრილი, მტვრისგან თავისუფალი გარემოს წყალობით.</p> <p>ამასთანავე, RDP2-ს ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს ინფრასტრუქტურული მომსახურების გაუმჯობესებას და იმერეთის რეგიონის ინფრასტრუქტურის ადგილობრივ ეკონომიკაში ტურიზმის გაზრდის ხელშეწყობას, განხორციელდა შემდეგი ქვეპროექტები წყალტუბოს პარკში: წყალმომარაგებისა და წყლის ჩაშვების სისტემის რეაბილიტაცია წყალტუბოს ცენტრალურ პარკში; ტურისტული მცირე ზომის ობიექტების გაშენება წყალტუბოს საკურორტო</p>

	<p>მართვის ოფისში, პარკისა და ტბა „ცივის“ ტერიტორიებზე; წყალტუბოს ცენტრალურ ნაწილში არსებული შენობებისა და მცირე ზომის საცალფეხო ხიდების აღდგენა; ირიგაციის სისტემის კეთილმოწყობა ცენტრალურ პარკში და ტბა „ცივის“ ტერიტორიაზე; გარე განათების რეაბილიტაცია წყალტუბოს წრიული გზის, ცენტრალური პარკისა და ტბა „ცივის“ ტერიტორიებზე.</p>
<p>მასალების, მათ შორის ინერტული მასალისა და წყლის მიწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება ქვე-პროექტის განხორციელების ადგილიდან</p>	<p>წყალმომარაგება მოხდება მუნიციპალური ქსელიდან. ქვიშა-ხრემის უახლოესი კარიერი მდებარეობს 15 კმ-ში. მანძილი უახლოესი ნაგავსაყრელიდან არის 15 კმ.</p>
კანონმდებლობა	
<p>ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ქვე-პროექტის ქმედებების განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები</p>	<p>მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც B კატეგორიის პროექტი.</p> <p>ქვე-პროექტი მგფ-სათვის ოფიციალურად წარმოდგენილი იქნა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ და წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის საჭიროებას და პრიორიტეტს.</p> <p>საქართველოს კანონმდებლობა არ ითხოვს გარემოსდაცვით მიმოხილვას, ნებართვას ან სხვა სახის შეთანხმებას, თუმცა ეროვნული კანონმდებლობის თანახმად:</p> <ol style="list-style-type: none"> i. სამშენებლო მასალები შეძენილი უნდა იქნეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან; ii. კონტრაქტორი ვალდებულია, აიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის (თუ თავად გადაწყვეტს მოპოვებას, ნაცვლად შეძენისა); iii. კონტრაქტორი ვალდებულია, მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს, ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში ბეტონის კვანძისათვის და შეათანხმოს გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, თუ ბეტონს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა); iv. მიწის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ზედმეტი გრუნტის განთავსების ადგილი კონტრაქტორის მიერ წერილობით უნდა შეთანხმდეს მუნიციპალიტეტის გამგეობასთან; v. სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე;

	<p>vi. ინერტული მასალის შექმნის/მოპოვებისა და ნარჩენების განთავსების თაობაზე შეთანხმებები უნდა იქნეს წარმოდგენილი მგფ-ში;</p> <p>vii. იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტორის საქმიანობის შედეგად, წლის განმავლობაში წარმოიქმნება 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი ან 120 კგ-ზე სახიფათო ნარჩენი, კომპანია „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად ვალდებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> - დანიშნოს გარემოსდაცვითი მმართველი და მის შესახებ წარუდგინოს ინფორმაცია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს; - მოამზადოს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარუდგინოს ნარჩენების ივენტარიზაციის ანგარიში; - მოამზადოს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგინოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა. <p>viii. კონტრაქტორს უნდა ჰქონდეს ასფალტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების მართვის ნებართვა, თუ ასფალტს აწარმოებს თავად, ნაცვლად შექმნისა;</p> <p>ix. აზბესტის შემცველი ნარჩენი უნდა განთავსდეს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N145 დადგენილებით დამტკიცებული „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნათა შესაბამისად.</p> <p>დაცული უნდა იქნეს GOST და SNIP ნორმები.</p> <p>კონტრაქტორმა წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტები:</p> <ul style="list-style-type: none"> - სამშენებლო ნარჩენების განთავსებაზე შეთანხმება; - ქვიშა-ხრეშისა და სხვა ინერტული მასალის შესყიდვაზე ხელშეკრულება; - ხელშეკრულება აზბესტის შემცველი მასალების განთავსებაზე.
--	---

საჩივრების განხილვის მექანიზმი

საჭიროებისამებრ, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირთა საჩივრების განხილვის მიზნით, შეიქმნა სათანადო მექანიზმი. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მხრიდან ამ საჩივრების მიღებაზე, განხილვასა და რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირი იქნება მალხაზ ჩხეიძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი. ტელ: 595 959 601; ელ.ფოსტა: malkhazchkhaidze@gmail.com ხოლო მგფ-ს მხრიდან - ნუცა გუმბერიძე (ტელ: +995 598 88 20 19, feedback@mdf.org.ge).

თუ საჩივრით დასმული საკითხი არ გადაიჭრება ადგილობრივ დონეზე, ის შემდგომი რეაგირების მიზნით გადაიგზავნება მგფ-ში. მგფ არეგისტრირებს ყველა შემოსულ საჩივარს, შესაბამის კომენტარებს და გადაჭრის გზებს. საჯარო კონსულტაციების დროს ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებული იქნა საჩივრების განხილვის საკითხებზე და საკონტაქტო პირების შესახებ.

საჯარო კონსულტაცია

<p>სად და როდის ჩატარდა/ჩატარდება საჯარო კონსულტაცია?</p>	<p>გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის წინამდებარე სამუშაო ვერსია საჯაროდ გამოქვეყნდა და განხილულ იქნა დაინტერესებულ მხარეებთან საჯარო კონსულტაციაზე სამუშაოთა ტენდერზე გატანამდე, 2018 წლის 8 ივნისს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დარბაზში. საჯარო განხილვის დოკუმენტაცია თანდართულია.</p>
--	---

დანართები

დანართი 1: ქვე-პროექტის განხორციელების ადგილი, ფოტომასალა;
დანართი 2: საჯარო განხილვის მასალები;
დანართი 3: ნებართვები, შეთანხმებები.

ნაწილი B: ინფორმაცია გარემოსდაცვითი უსაფრთხოების შესახებ

გარემოსდაცვითი/სოციალური სკრინინგი			
	ქმედება/საკითხი	სტატუსი	შემარბილებელი ღონისძიებები
მოიცავს თუ არა ქვე-პროექტი რომელიმე მითითებულ ქმედებას/საკითხს?	A. რეაბილიტაცია	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	B. ახალი მშენებლობა	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	C. ნარჩენი წყლების გადამუშავების ინდივიდუალური სისტემა	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი B
	D. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი C
	E. მიწის შეძენა ¹	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი D
	F. საშიში ან ტოქსიკური მასალები ²	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი E
	G. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი F
	H. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/ მენეჯმენტი	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი G
	I. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი H

¹ მიწის შესყიდვა მოიცავს ადამიანთა გადასახლებას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შეღავას - ეს ეხება მიწებს, რომელიც შეძენილი/გადაცემულია და ამ ქმედებას გააჩნია ზემოქმედება იმ ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს) შეძენილ მიწაზე.

² ტოქსიკური/ საშიში მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი მასალებით: აზბესტი, ტოქსიკური საღებავები, მავნე ზემოქმედების მქონე გამსხნელები, ტყვიის შემცველი საღებავის მოშორება და ა.შ.

ნაწილი C: შემარბილებელი ღონისძიებები

ACTIVITY	PARAMETER	MITIGATION MEASURES CHECKLIST
<p>0. ზოგადი პირობები</p>	<p>ინფორმირება და უსაფრთხოება</p>	<ul style="list-style-type: none"> (a) ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მიწოდებული ადგილობრივი სამშენებლო და გარემოს დაცვის ინსპექციებისათვის და თემისათვის; (b) ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებულია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მედიაში და / ან საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში (სამუშაოების განხორციელების ადგილის ჩათვლით) შესაბამისი შეტყობინების განთავსების გზით; (c) გაცემულია მშენებლობისათვის და/ ან რეაბილიტაციისათვის საჭირო ყველა ნებართვა; (d) კონტრაქტორი აცხადებს ოფიციალურ თანხმობას, რომ სამუშაოები განხორციელდება უსაფრთხო და მოწესრიგებული გზით, მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობასა და გარემოზე მინიმალური ზემოქმედების უზრუნველყოფით; (e) მუშათა პირადი დამცავი აღჭურვილობა შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან (სამუშაოების შესრულების დროს მუშებს უნდა ეხუროთ ჩაფხუტები, საჭიროების შემთხვევაში ეკეთოთ ნიღბები, დამცავი სათვალე, უსაფრთხოების ქამრები და ჩექმები); (f) მუშათა ინფორმირების მიზნით უსაფრთხოების ძირითადი წესები და რეგულირებები განთავსებული უნდა იქნეს შესაბამის მარკინგებზე სამუშაოთა განხორციელების ადგილებზე.
<p>A. ზოგადი სარეაბილიტაციო და / ან სამშენებლო ქმედებები</p>	<p>ჰაერის ხარისხი</p>	<ul style="list-style-type: none"> (a) ნგრევის შედეგად მიღებული ნამსხვრევების შენახვა უნდა მოხდეს კონტროლირებად ადგილზე და დაინამოს წყლით მტერის შესამცირებლად; (b) პნევმატური ბურლით ნგრევის პროცესში მტერის წარმოქმნა და გავრცელება შეზღუდული უნდა იქნეს წყლით დანამავით და/ან მტერის საწინააღმდეგო ეკრანების გამოყენებით; (c) ნანგრევების დაყრა არ უნდა მოხდეს მიმდებარე ტერიტორიებზე; (d) არ უნდა მოხდეს სამშენებლო ნარჩენების დაწვა; (e) არ უნდა იქნეს ნებადართული სატრანსპორტო საშუალებების და მანქანა-დანადგარების უქმი სვლა; (f) სამშენებლო მასალები/ნარჩენები ტრანსპორტირების დროს უნდა იქნეს დაფარული/დატენიანებული მტერის წარმოქმნის შემცირების მიზნით.
	<p>ხმაური</p>	<ul style="list-style-type: none"> (a) ხმაური უნდა შემცირდეს სამუშაოების განხორციელების დროითი ლიმიტების დაწესებით; (b) ოპერირებისას გენერატორების, ჰაერის კომპრესორებისა და სხვა მექანიკური დანადგარების ძრავის საფარები დახურული უნდა იყოს, ამასთან დანადგარები მაქსიმალურად შორს უნდა განთავსდეს საცხოვრებელი ტერიტორიებიდან; (c) სატრანსპორტო საშუალებებმა უნდა იმოდრონ წინასწარ შეთანხმებული მარშრუტით; (d) უნდა განისაზღვროს სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მაქსიმალური ნებადართული სიჩქარე; (e) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სატრანსპორტო საშუალებებისა და მანქანა დანადგარების სათანადო მოვლა და შესაბამისი ტექნიკური კონტროლი; (f) არ უნდა იქნეს ნებადართული სატრანსპორტო საშუალებების და მანქანა-დანადგარების უქმი სვლა; გამოყენებული უნდა იქნეს მაცურები.
	<p>წყლის ხარისხი</p>	<ul style="list-style-type: none"> (a) კონტრაქტორს მოეთხოვება მოაწყოს მასალების დასაწყობების ადგილი, რომელიც დაცული უნდა იქნეს წარეცხვისაგან ძლიერი წვიმის ან დატბორვის დროს წყალგაუმტარი მასალით. გატარებული უნდა იქნეს სედიმენტების კონტროლის ღონისძიებები, როგორცაა თივის შეკვრებისა და/ ან სილის მესერის მოწყობა, რაც ხელს შეუშლის სედიმენტების სამშენებლო ტერიტორიიდან ჩარეცხვას ახლომდებარე წყლის ობიექტში. (b) კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს ზეთების, გამხსნელების და საღებავების შესაბამის შენახვა და გამოყენება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი ჩაღვრა ხევში, ხიდის პარაპეტების შესაღებად არ უნდა იქნეს

		<p>გამოყენებული პულვერიზატორი. პოტენციურად დამაბინძურებელი მასალები არ უნდა იქნეს დასაწყობებული მდინარიდან 50 მეტრში. არ უნდა მოხდეს მასალებისა და ნარჩენების ჩაყრა მდინარეში.</p> <p>(c) მიწის სამუშაოებისა და ნიადაგისა და გრუნტის დროებითი დასაწყობების ადგილების მოწყობისას მინიმუმამდე უნდა იქნეს შემცირებული წარეცხვის საფრთხე;</p> <p>(d) მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები უნდა შემოწმდეს რეგულარულად, რათა არ ხდებოდეს ზეთებისა და საწვავის დაღვრა. უნდა ხორციელდებოდეს მანქანა-დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების სათანადო მოვლა ისე, რომ მინიმუმამდე იქნეს შემცირებული დაღვრების საფრთხე. სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება უნდა ხდებოდეს ყოველდღიურად სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში შესაბამისი საფარით და საწრეტით. მანქანების სადგომი და შეკეთების ადგილები დაშორებული უნდა იქნეს წყლის ობიექტიდან მინიმუმ 50 მეტრით.</p> <p>(e) ზეთები, გამხსნელები და საწვავი შენახული უნდა იქნეს გამოყოფილ ადგილებში შესაბამისი საფარით და საწრეტით. სამშენებლო მოედანზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაღვრის შემთხვევაში შემკავებელი მასალები (სორბენტები, ქვიშა, ნახერხი).</p> <p>(f) არ უნდა მოხდეს ცემენტის ან ბეტონის ნარჩენების ჩარეცხვა/ჩაყრა ნებისმიერ წყლის ობიექტში.</p>
	ნარჩენების მართვა	<p>(a) სამშენებლო საქმიანობიდან მოსალოდნელი ყველა მნიშვნელოვანი ტიპის ნარჩენისათვის გამოყოფილი უნდა იქნეს დროებითი და საბოლოო განთავსების ადგილები;</p> <p>(b) ინერტული სამშენებლო ნარჩენები გამოცალკევებული უნდა იქნეს სხვა ნარჩენებისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ინერტული სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, ხოლო სხვა სახის ნარჩენები უნდა შეინახოს სპეციალურ კონტეინერებში;</p> <p>(c) სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს შესაბამისად წინასწარ შეთანხმებულ ადგილას.</p> <p>(d) უნდა იწარმოებოდეს და ინახებოდეს დოკუმენტაცია ნარჩენების საბოლოო განთავსების თაობაზე, რათა შესაძლებელი იყოს სათანადო მართვის დასაბუთება;</p> <p>(e) აკრძალულია საპროექტო ტერიტორიაზე ნარჩენების დაწვა.</p> <p>(f) შესაძლებელია შესაბამისი ნარჩენების ხელახლა გამოყენება და რეციკლირება (გარდა აზბესტისა).</p>
	მასალების მიწოდება	<p>a) გამოყენებული უნდა იქნეს ინერტული მასალის არსებული კარიერები, რომლებზეც გაცემულია შესაბამისი ლიცენზია;</p> <p>b) ინერტული მასალის ახალი კარიერის ამოქმედების შემთხვევაში კონტრაქტორმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი ლიცენზია;</p> <p>c) ინერტული მასალის კარიერი ან მისი გამოყენებული ნაწილი უნდა იქნეს აღდგენილი ან სათანადოდ დახურული თუ ლიცენზიის მოქმედების ვადა ამოწურულია ან ინერტული მასალის მოპოვება დასრულებულია;</p> <p>d) მასალების ტრანსპორტირება არ უნდა მოხდეს პიკის საათებში.</p>
	მიწის სამუშაოები	<p>a) ნიადაგის ზედა ფენა უნდა მოიჭრას სამუშაოების დაწყებამდე;</p> <p>b) ნიადაგის ნაყოფიერი ფენა შენახული უნდა იქნეს ისე, რომ შეუნარჩუნდეს ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური მახასიათებლები, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენახვის ადგილი უნდა შეიღობოს და დაცული უნდა იქნეს ეროზიისაგან.</p> <p>c) ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოყენებული უნდა იქნეს ლანდშაფტის აღდგენის სამუშაოებში;</p> <p>d) გამოყენებული ნიადაგი განაწილებული უნდა იქნეს შემოგარენში;</p> <p>e) ნიადაგის ზედა ფენა უნდა ინახებოდეს განცალკევებულად ქვედა ფენისაგან. მოხსნილი ნიადაგით უნდა მოხდეს ნაყოფიერი ფენის აღდგენა თავდაპირველ სიღრმემდე, რომელიც შეფასდება ვიზუალურად ნიადაგის ფენის მოხსნამდე. ნაყოფიერი ფენის აღდგენის სამუშაოები უნდა დაიგეგმოს ისე, რომ ჯერ აღდგენილი იქნეს დასაწყობების ადგილიდან მოშორებით მდებარე ადგილები, რითაც აცილებული უნდა იქნეს ტრანსპორტის მოძრაობა აღდგენილ ნიადაგზე. ნიადაგის აღდგენის შემდგომ. უნდა იქნეს გაფხვიერებული, დაცული უნდა იქნეს მისი სტაბილურობა და ხელი შეეწყოს მცენარეული საფარის აღდგენას.</p>

		<p>f) არქეოლოგიური აღმოჩენების შემთხვევაში, სამუშაოები უნდა შეწყდეს, აღნიშნული შესახებ ეცნობოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს და სამუშაოები განახლდეს მხოლოდ წერილობითი ნებართვის მიღების შემდგომ.</p>
<p>E. ტოქსიკური მასალები</p>	<p>აზბესტის განკარგვა</p>	<p>(a) ქვე პროექტის ობიექტზე განთავსებული აზბესტი გარკვევით უნდა აღინიშნოს როგორც სახიფათო მასალა;</p> <p>(b) აზბესტი სათანადოდ უნდა იქნას შენახული და დალუქული, მისი ზემოქმედების მინიმუმამდე დასაყვანად;</p> <p>(c) დემონტაჟამდე აზბესტის მასალა უნდა დასველდეს, რათა შემცირდეს აზბესტის მტვერი;</p> <p>(d) აზბესტის გატანა უნდა მოხდეს გამოცდილი პროფესიონალების მიერ, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან სპეციალური დამცავი აღჭურვილობით;</p> <p>(e) თუ აზბესტის მასალა ინახება დროებით, ნარჩენები უსაფრთხოდ უნდა იყოს დახურული და შესაბამისად აღნიშნული, უსაფრთხოების ზომები უნდა იქნას გატარებული სამშენებლო ობიექტიდან უნებართვოდ გატანის თავიდან ასაცილებლად;</p> <p>(f) გატანილი აზბესტი არ უნდა იქნას ხელახლა გამოყენებული.</p>
	<p>ტოქსიკური/სახიფათო ნარჩენების განკარგვა</p>	<p>(a) ობიექტზე ყველა სახიფათო და ტოქსიკური მასალების დროებითი შენახვა უნდა განხორციელდეს უსაფრთხო კონტეინერებში, რომლებზეც შესაბამის ეტიკეტზე მითითებული იქნება დეტალური ინფორმაცია შემადგენლობის, თვისებებისა და შენახვის შესახებ</p> <p>(b) სახიფათო მასალების კონტეინერები უნდა მოთავსდეს ჰერმეტიკულ კონტეინერებში, რათა აცილებული იქნას დაღვრა და გამოტუტება</p> <p>(c) ნარჩენების ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს სპეციალურად ლიცენზირებული გადამტანებით და გატანილი იქნას ლიცენზირებულ ობიექტზე.</p> <p>(d) არ უნდა იქნას გამოყენებული ტოქსიკური ინგრედიენტების ან გამხსნელების ან ტყვიის შემცველი საღებავები.</p>
<p>H სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება</p>	<p>სამშენებლო საქმიანობის სახიფათო პიდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ფეხით მოსიარულეებზე</p>	<p>(a) ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ სამშენებლო ტერიტორია შესაბამისად დაცულია და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის ოპერირება რეგულირებულია. ეს მოიცავს მაგრამ არ არის ლიმიტირებული შემდეგით:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ განთავსებული უნდა იქნეს მოძრაობის გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ნიშნები. საზოგადოება გაფრთხილებული უნდა იყოს ყველა შესაძლო საშიშროების შესახებ; ▪ უნდა ჩამოყალიბდეს მოძრაობის მართვის სისტემა და ჩატარდეს თანამშრომელთა ტრენინგი, განსაკუთრებით ტერიტორიაზე შესვლასა და ტერიტორიის მახლობლად მძიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ. ფეხით მოსიარულეთათვის უნდა მოეწყოს უსაფრთხო გადასასვლელები იმ ადგილებში, სადაც მოძრაობს სამშენებლო ტექნიკა; ▪ სამუშაო საათები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან, მაგ: ინტენსიური გადაზიდვები არ უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პერიოდში ან პირუტყვის გადაადგილების საათებში; ▪ ტრანსპორტის მოძრაობა უნდა იმართებოდეს დატრენინგებული თანამშრომლების მიერ; ▪ გზის რეაბილიტაციის სამუშაოების დროს უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო მისასვლელები მაღაზიებთან, საცხოვრებელ სახლებთან, ოფისების შენობებთან.

ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შექმნა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრალობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა; სამშენებლო მასალების და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით; ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი დროისა მარშრუტების დაცვა.	სამშენებლო ტერიტორია ტრანსპორტირების გზების გასწვრივ დასახლებულ პუნქტებში	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის მინიმუმამდე შემცირება.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საპატრულო პოლიცია

<p>მიწის სამუშაოები</p>	<p>ამოღებული გრუნტის დროებითი შენახვა წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ტერიტორიებზე;</p> <p>ამოღებული გრუნტის უკუჩაყრა და/ან განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე;</p> <p>შემთხვევითი აღმოჩენების შემთხვევაში, სამუშაოების დაუყოვნებლივ შეწყვეტა და აღნიშნულის შესახებ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმირება და სამუშაოების განახლება მხოლოდ სამინისტროსგან ოფიციალური თანხმობის მიღების შემდეგ.</p> <p>ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მოჭრილია მიწის სამუშაოების დაწყებამდე;</p> <p>ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობებულია შესაბამისად; მოწყობილია დამცავი ბარიერები; ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოიყენება მიმდებარე ლანდშაფტის აღდგენისათვის</p>	<p>სამშენებლო ტერიტორია</p>	<p>შემოწმება</p>	<p>მიწის სამუშაოების პროცესში</p>	<p>სამშენებლო და მისი მდებარე ტერიტორიის სამშენებლო ნარჩენებით დაბინძურების თავიდან აცილება</p> <p>ფიზიკური კულტურული რესურსების დაზიანების და დაკარგვის თავიდან აცილება</p>	<p>მგფ</p> <p>მშენებლობის ზედამხედველი</p>
<p>ინერტული მასალების წყარო</p>	<p>მასალების შექმნა არსებული, ლიცენზირებული</p>	<p>კარიერები</p>	<p>დოკუმენტების ა და</p>	<p>ინერტული მასალის</p>	<p>ეროზიის შემცირება და</p>	<p>მგფ,</p>


	<p>მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია;</p> <p>სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა;</p> <p>კარიერების დაყოფა ტერასებად, დამუშავებული ადგილების რეაბილიტაცია და ლანდშაფტთან ჰარმონიზება;</p> <p>მდინარეში ქვიშა-ხრეშის მოპოვება წყლის ნაკადის გარეთ, დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის ადგილსა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მანქანების შესვლა წყლის ნაკადში.</p>		სამუშაოების ინსპექტირება	მოპოვების პერიოდში	<p>ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების დეგრადირების მინიმუმაცია;</p> <p>სედიმენტებით წყლის დაბინძურების, ასევე ჰიდრობიონტა საარსებო პირობების დარღვევის შემცირება.</p>	მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	<p>სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში;</p> <p>ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.</p>	<p>სამშენებლო ტერიტორია;</p> <p>ნარჩენების განთავსების ტერიტორია</p>	ინსპექტირება	პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი,
აზბესტის მართვა	<p>ქვე პროექტის ობიექტზე განთავსებული აზბესტი სათანადოდ უნდა იყოს დალუქული და გარკვევით უნდა აღინიშნოს როგორც სახიფათო მასალა.</p> <p>აზბესტის გატანა უნდა მოხდეს გამოცდილი პროფესიონალების</p>	სამშენებლო ობიექტზე	დოკუმენტაციის და სამუშაოების ინსპექტირება	სადემონტაჟო სამუშაოების პერიოდში	<p>ტოქსიკური მასალებით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.</p> <p>მუშების ჯანმრთელობის დასაცავად.</p>	მგფ და სამუშაოთა ზედამხედველები


	<p>მიერ, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან სპეციალური დამცავი აღჭურვილობით.</p> <p>უსაფრთხოების ზომები უნდა იქნას გატარებული სამშენებლო ობიექტიდან უნებართვოდ გატანის თავიდან ასაცილებლად.</p> <p>აზბესტის ნარჩენები საბოლოოდ განთავსებულია ოფიციალურ ნაგავსაყრელზე</p>					
სახიფათო მასალების შესაბამისი შენახვა	სახიფათო მასალების კონტეინერები მოთავსებულია არიან მეორად დამცავ რეზერვუარში და ინახება დახურულ კონტეინერში	სახიფათო მასალების შენახვის ადგილი	ინსპექტირება	პერიოდულად მშენებლობის განმავლობაში	ტოქსიკური მასალებით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლის შეზღუდვა	სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვის/მოძრაობის მიმართულების შეცვლის ნიშნების განთავსება; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული სატრანსპორტო საცობები მისასვლელ გზებზე.	სამშენებლო და მიმდებარე ტერიტორიები	ინსპექტირება	სამშენებლო სამუშაოების პერიოდში	სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა; მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	უბედური შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი


	ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესები/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა					
საოპერაციო ფაზა						
რეაბილიტირებუ ლი შადრევნების მოვლა- პატრონობა	გამართული ფუნქციონირება	რეაბილიტირებუ ლი შადრევანი	ვიზუალური ინსპექტირება	სამუშაოების მიმდინარეობისას	უბედური შემთხვევების თავიდან აცილება	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტი


დანართი 1: ქვე-პროექტის ადგილმდებარეობა, საკადასტრო ინფორმაცია და სურათები











- ① SAND FILTER 25m³/h
- ② PUMP 2 kW (40 m³/h) - PREFILTER
- ③ FLOW METER
- ④ ULTRA VIOLET TREATMENT
- ⑤ pH SENSOR
- ⑥ CHLORINE AND DOSING PUMPS
- ⑦ pH ADJUSTMENT FEEDERS
- ⑧ INJECTORS



შპს (უზენაესი კონსტრუქციის საკონსტრუქტო კომპანია) N 29.08.34.091

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია: N 882017597229 - 06/07/2017 11:50:00
მოშვების თარიღი: 12/07/2017 13:32:39

საკუთრების განყოფილება

მონაწილე	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი/საკუთრება
29	08	34	091	ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო ნაშენი/გადასაშენი ფართობი: 687480.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: შენიშვნა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8, N9, N10, N11, N12, N13, N14, N15

მისამართი: ქალაქი წყალტუბო, ქუჩა რუსთაველი, (ცენტრალური პარკის ტერიტორია)

შესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია: ნომერი 882015725667, თარიღი 18/12/2015 17:26:12
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 24/12/2015

- უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:
- მომართვა N31/709, დამოწმების თარიღი: 23/02/2015, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა.
 - მომართვა N31 3819, დამოწმების თარიღი: 03/09/2015, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა.
 - ბრძანება N31 995, დამოწმების თარიღი: 05/08/2015, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა.
 - ბრძანება N31 610, დამოწმების თარიღი: 01/06/2017, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა.
 - ბრძანება N31 1429, დამოწმების თარიღი: 28/10/2015, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა.
 - ბრძანება N31 1125, დამოწმების თარიღი: 03/09/2015, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა.
 - ბრძანება N31 1683, დამოწმების თარიღი: 17/12/2015, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა.
 - ბრძანება N31 255, დამოწმების თარიღი: 20/02/2015, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა.

შესაკუთრების: სსიპ თვითმმართველი თემი წყალტუბოს მუნიციპალიტეტი ID ნომერი: 221274546

შესაკუთრე: აღწერა:
სსიპ თვითმმართველი თემი წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

იპოთეკა

საგადასახლო ვიზუალიზაცია:
რეგისტრირებული არ არის



სარგებლობა



საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: 29.08.34.091
განცხადების ნომერი: 882015725667
მოშვების თარიღი: 24/12/2015
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
ფართობი: 687480 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)



რეგიონული განვითარების მეორე პროექტი (RDP 2)

შადრევნის რეაბილიტაცია წყალტუბოს პარკში

**ქვე-პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის
გეგმის
საჯარო განხილვის ოქმი**

2018 წლის 8 ივნისს, 14:30 საათზე, ქალაქ წყალტუბოს საკრებულოს შენობაში გაიმართა რეგიონული განვითარების მეორე პროგრამის (RDP 2) ფარგლებში მიმდინარე ქვე-პროექტის - „შადრევნის რეაბილიტაცია წყალტუბოს პარკში“, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საჯარო განხილვა.

შეხვედრა მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი/დადებითი ზეგავლენისა და მათი თავიდან აცილების გზებისა და საშუალებების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი გრიგოლ იოსელიანი და მერის პირველი მოადგილე ზურაბ მაისურაძე.

შეხვედრას აგრეთვე ესწრებოდნენ პროექტით დაინტერესებული საზოგადოება: თეონა ქობულაძე, მამუკა ვარდანიძე, გიორგი იობიძე, მურმან შალამბერიძე, თენგიზ ნიჭარაძე, გია ბარილაძე, ზოია ბაქრაძე, მარინა ტყეშელაშვილი, ნინო ნემსიწვერიძე, ვლადიმერ ბაზაძე, ქრისტინა ქაქუთია, ბადრი პაპავა, თამარ მამარდაშვილი, ნიკა აფხაძე. რომეო ნიჭარაძე, დავით იობიძე, ვაჟა გოდუაძე, პაატა ბუჭუზიშვილი, გრიგოლ იოსელიანი, მალხაზ ჩხეიძე, მამუკა გელენიძე, კობა გოგობე, ნათია ჩაკვეტაძე, ალექსანდრე დადუნაშვილი, თეიმურაზ კაჩელია, ანი გელენიძე, ლილი გელენიძე, რევაზ მესხი, მურთაზ კანკაძე, გოჩა ჯიქია.

მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები:

ქეთევან პაპაშვილი - გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი;

გიორგი მიქელაძე - პროექტის მენეჯერი;

მელიტა თაგაური - სტაჟიორი;

შეხვედრა გახსნა გიორგი მიქელაძემ, რომელმაც შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალური განვითარების ფონდისა და შეხვედრის მიზნების შესახებ.

ქ. პაპაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს წარუდგინა ინფორმაცია რეგიონული განვითარების მეორე პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ქვე-პროექტების შესახებ და დეტალურად ისაუბრა ქვე-პროექტის - „მადრევენის რეაბილიტაცია წყალტუბოს პარკში“, ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შესახებ.

ქ. პაპაშვილმა განიხილა ქვე-პროექტებისათვის მომზადებული გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა, ასევე შეხვედრის მონაწილეებს გააცნო მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი მოთხოვნები, განიხილა დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებები. აღნიშნა, რომ ხსენებული ქვე-პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოები საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვას და სხვა სახის შეთანხმებას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, ამიტომ ქვე-პროექტები განხორციელდება მსოფლიო ბანკის შესაბამისი უსაფრთხოების პოლიტიკისა და რეგიონული განვითარების პროექტისთვის მომზადებული სამოქმედო სახელმძღვანელოს შესაბამისად.

ქ. პაპაშვილმა აღნიშნა, რომ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა არის მშენებელ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და კონტრაქტორს ევალება, უზრუნველყოს გეგმით გათვალისწინებული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება. ასევე ისაუბრა ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და შესაბამისი ანგარიშგების პროცედურებზე.

ქ. პაპაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, ვისთანაც საზოგადოებას საშუალება აქვს, დაუკავშირდეს და საკუთარი მოსაზრება დააფიქსიროს გარემოს დაცვითა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული რაიმე სახის უკმაყოფილების წარმოშობის შემთხვევაში.

გიორგი მიქელაძემ დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა დეტალური ინფორმაცია სატენდერო პროცედურისა და ვადების შესახებ, აგრეთვე მშენებლობის ეტაპზე მონიტორინგისა და ზედამხედველი კომპანიის თაობაზე.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ შეხვედრის მონაწილეებს საშუალება მიეცათ, გამოეთქვათ საკუთარი აზრი ან/და დაესვათ კითხვები წარდგენილ საკითხებთან დაკავშირებით. შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმული იქნა შემდეგი შეკითხვები:

შეკითხვები და შენიშვნები	პასუხები და კომენტარები
როდის დაიწყება სამშენებლო სამუშაოები?	დღეისათვის პროექტი გაგზავნილია მსოფლიო ბანკში, დასამტკიცებლად. ვიმედოვნებთ, რომ ივნისის ბოლოს გამოცხადდება ტენდერი. ტენდერის განხორციელებას დაახლოებით ერთი თვე დაჭირდება, კიდევ ერთი თვე კონტრაქტორის შერჩევას და პროექტის შეფასებას. ამ ყველაფრის შემდეგ დაიწყება სამშენებლო სამუშაოები.
რა ღირებულებისაა ეს პროექტი?	პროექტი დაჯდება დაახლოებით 2.1 - 2.2 მილიონი ლარი. თავდაპირველად პროექტის ღირებულება იყო 1.5 მილიონი ლარი. თუმცა, შემდეგ დაემატა პერგოლა, საპირფარეშოების მშენებლობა და ა.შ, რამაც პროექტის დანახარჯები გაზარდა.
დასაქმდება თუ არა ადგილობრივი მოსახლეობა მშენებლობის დროს?	შესყიდვების წესების თანახმად, კონტრაქტორს ვერ დავავალდებულებთ, რომ დაასაქმოს ადგილობრივი მოსახლეობა, თუმცა როგორც წესი, კონტრაქტორების მიერ უმეტეს შემთხვევაში ხდება ადგილობრივი მუშახელის დაქირავება. კონტრაქტორს ძირითადად ჩამოჰყავს თავისი ხალხი, დასაქმებულები, თუმცა ხშირ შემთხვევაში, დამატებით მისთვისაც ხელსაყრელია ადგილობრივი მოსახლეობის დაქირავება.
სასმელი წყლის შადრევანზე რა გავლენა ექნება ამ პროექტს?	სასმელი წყლის შადრევანი ჯერჯერობით არაა გათვალისწინებული პროექტში, თუმცა, შეიძლება კონტრაქტორს დაეკისროს დამატებითი ვალდებულება ამასთან დაკავშირებით. იმედია, მუნიციპალიტეტიც გვერდში დაგვიდგება.
არსებული შადრევანი მთლიანად შეიცვლება?	დიახ, მოხდება შადრევნის სრული რეაბილიტაცია. ამისთვის გვაქვს ორი ვარიანტი: მარმარილო და გრანიტი. თუკი

	<p>ახალ შადრევანს ავაშენებთ მარმარილოთი, იგი უფრო მდიდრული და ვიზუალურად სასიამოვნო შესახედი იქნება. თუმცა, გრანიტით აშენებული შადრევანი უფრო გრძელვადიანი და გამძლე ნაგებობა იქნება. აგრეთვე, შადრევნის მახლობლად გაშენდება პერგოლა და საპირფარეშოები, რაზეც უკვე ვისაუბრეთ.</p>
<p>ძალიან სასიხარულოა, რომ ახალი საპირფარეშოები შშმ პირებისთვის ადაპტირებული იქნება. თუმცა, ხელმისაწვდომი იქნება სასმელი წყლის შადრევანი, პერგოლა და სხვა ნაგებობები შსს პირებისთვის?</p>	<p>შშმ პირებს შეეძლებათ თავისუფალი გადაადგილება და არსებული სერვისებით სარგებლობა ყველგან, უშუალოდ ინტერაქტიული შადრევნის პლატფორმის გარდა.</p>
<p>რა წვლილი შეაქვს სახელმწიფოს ამ პროექტის განხორციელებაში?</p>	<p>სახელმწიფო აფინანსებს ამ პროექტის 20%-ს.</p> <p>სახელმწიფოს ვალია წამოიწყოს და ხელი შეუწყოს მსგავსი პროექტების განხორციელებას, რომ დაიცვას ქვეყნის ინტერესები და შთამომავლობა უზრუნველყოს უკეთესი პირობებით. ამასთანავე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მაქსიმალურად ავირიდოთ თავიდან ვანდალური აქტები.</p> <p>აქვე გვინდა მოგაწოდოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია: მას შემდეგ რაც მორჩება მშენებლობა, შადრევანი ოპერირებისთვის გადაეცემა წყალტუბოს მუნიციპალიტეტს. ამ დოკუმენტში გათვალისწინებულია კონტრაქტორის ვალდებულება, რომ ჩაუტაროს ტრენინგი ადგილობრივ მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელ პირებს, რომ მოხდეს შადრევნის სწორი მართვა. აგრეთვე, სამუშაოების დამთავრების შემდეგ არის სტანდარტული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი, რაც შეადგენს ერთ წელიწადს. ამ ერთი წლის განმავლობაში ყველა დეფექტზე პასუხისმგებელია კონტრაქტორი.</p>

რა მასშტაბის ქსელით მოხდება წყლის მიწოდება შადრევნისთვის?	წყლის მიწოდება მოხდება 73 მმ-იანი მილების მეშვეობით
რა წყლის ხარჯი იქნება მუნიციპალიტეტს წელიწადში ამ შადრევნის შესანახად?	შადრევნის შევსება მუნიციპალიტეტს წელიწადში მხოლოდ ერთხელ დასჭირდება. შადრევანს დაახლოებით 270 მ ³ წყალი ესაჭიროება. თუმცა, წყალი, რა თქმა უნდა, ცირკულაციაში იქნება და მუნიციპალიტეტს პერიოდულად მოუწევს მხოლოდ აორთქლებისას მიღებული დანაკარგის შევსება. სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის შადრევანს წყლის მიწოდება ესაჭიროება 20 კილოვატი სიმძლავრით. რადგან შადრევანი ინტერაქტიულია და ხალხთან უშუალო შეხებაშია, სავალდებულოა წყლის რეგულარულად გაფილტვრა.
რამდენი კაბინა იქნება საპირფარეშოებში?	საპირფარეშოებში იქნება 3 კაბინა მანდილოსნებისთვის, 3 მამაკაცებისთვის და ერთი დამატებითი შშმ პირებისთვის.
როგორი საჩრდილობლები გაკეთდება პერგოლაში?	საჩრდილობლები გაკეთდება 40x20 მასშტაბით, დაფარავს საკმაოდ დიდ ფართობს და იქნება გამჭვირვალე, რაც მოცემულ ნახაზებზეც ჩანს.
დროის რა პერიოდზეა გათვლილი შადრევნის რეაბილიტაცია?	შადრევნის რეაბილიტაციის ეს პროექტი გათვლილია 8 თვეზე.
თოვლის შემთხვევაში რამდენად შენარჩუნდება პერგოლა?	პერგოლას გადახურვისას გათვალისწინებულია ქანობი, რომ ზამთარში თოვლის შემთხვევაში სახურავზე არ დარჩეს ზედმეტი თოვლი.
რამდენ ხნიანი გარანტია აქვს პროექტს?	პროექტს აქვს ევროსტანდარტების შესაბამისი გარანტია, რომელიც სავარაუდოდ გრძელდება 10 წელი ან მეტი.
მინდა აღვნიშნო, რომ კარგი სტანდარტებით კეთდება ეს პროექტი და კარგი იქნებოდა, რომ ყველგან ეს სტანდარტები ყოფილიყო დაცული.	ამ პროექტის განხორციელებისას თავმოყრილი მსოფლიო ბანკისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები. პრეზენტაციაში ვისაუბრეთ და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა, სწორედ ის დოკუმენტი, რომელიც თავს უყრის საქართველოს კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის პოლიტიკის მოთხოვნებს და კონტრაქტორისათვის უფრო აადვილებს იმ სტანდარტების დაცვას, რომ შექმნას უსაფრთხო ბუნებრივი და სოციალური

	<p>გარემო. შესაბამისად, ყურადღება ექცევა არა მხოლოდ პროექტის გავლენას გარემოზე, არამედ უსაფრთხოებას და სხვა მნიშვნელოვან დეტალებს.</p> <p>აღსანიშნავია, რომ ოქტომბრის თვიდან კიდევ უფრო მკაცრდება მსოფლიო ბანკის რეგულაციები.</p>
<p>წყალტუბოს პარკში დიდი ტერიტორიაა. მოხარული ვიქნებით, თუ კიდევ გააკეთებთ მსგავს პროექტებს.</p>	<p>მსოფლიო ბანკის ის პროექტი, რომლის ქვეშაც შადრევნის რეაბილიტაცია ხორციელდება, 2019 წლამდე გრძელდება. ამ პროექტის ქვეშაა ვანის მუზეუმის კეთილმოწყობაც, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. პროგრამის ფარგლებში შედის უკვე განხორციელებულ პროექტებში დეფექტების აღმოფხვრაც.</p>
-	<p>მსოფლიო ბანკის მოთხოვნით, მინდა გაცნობოთ, რომ შადრევნის ძირითადი წყალმომარაგების ქსელთან შეერთებისას შეიძლება მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს რამდენიმე საათით შეუწყდეს წყალმომარაგება.</p>
<p>მინდა ერთი რამ გირჩიოთ. პირდაპირი შეხება მაქვს აქ შშმ პირებთან. ძალიან კარგი იქნება, თუ საპირფარეოების გარდა სხვა ნაგებობებიც იქნება ადაპტირებული. მაგალითად, პერგოლას გაშენებისას გთხოვთ გაითვალისწინოთ შსს პირების ეტლის სიმაღლე და ერთი მაგიდა მაინც ჩვეულებრივზე დაბალი გააშენოთ, რომ მათაც ადვილად მიუწვდებოდეთ ხელი.</p>	<p>დიდი მადლობა ამ სასარგებლო ინფორმაციისთვის. თქვენს რჩევას აუცილებლად გადავცემთ კონტრაქტორებს.</p>

გარემოსდაცვითი დოკუმენტების განხილვის შემდგომ, დამსწრე საზოგადოებამ გამოხატა მოწონება მიმდინარე პროექტის თაობაზე. დამატებითი შეკითხვები და კომენტარები არ ჰქონიათ.

შეხვედრის ფოტომასალა და შეხვედრაზე დამსწრეთა სარეგისტრაციო ფურცლის ასლი თანდართულია.

ოქმი მომზადებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახურის სტაჟიორის - მელიტა თაგაურის მიერ.

შეხვედრის მონაწილეთა რეგისტრაციის ფურცელი:

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი
Second Regional and Municipal Infrastructure Development Project

ქალაქ ხაშურის სტადიონის რეაბილიტაციის ქვეპროექტის
SP of rehabilitation of stadium in Khashuri

სოციალური და ბუნებრივი გარემოს დაცვის მართვის გეგმის საჯარო განხილვა
Environmental and Social Management Plan Public Consultation Meeting

8 ივნისი 2018 წელი
June 8, 2018

შეხვედრაზე დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი
List of Attendees

	სახელი, გვარი Name, Surname	ორგანიზაცია Organization	საკონტაქტო ინფორმაცია Contact Information	ხელმოწერა Signature
1.	თონა ჯინჯელაძე	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განყოფილება	599 92 02 89 gdsuladze@i.com	
2.	ზურაბ მაისაძე	საერთაშორისო ზურაბ მაისაძე	595 75 32 55 ZURAB65@mail.ru	
3.	მამია ვასილიძე	სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განყოფილება	577 37 57 05	
4.	გიორგი იოსელიანი	საერთაშორისო ზურაბ მაისაძე	595 12 -37 -37	
5.	გიორგი შალვაშვილი	საერთაშორისო ზურაბ მაისაძე	595 08-50-35	
6.	გიორგი ნიკიფორიძე	საერთაშორისო ზურაბ მაისაძე	591 05 92 03	

7.	ვიკტორია მარტოშვილი	საერთაშორისო ზურაბ მაისაძე - ხაშური	577381558	
8.	გიორგი შალვაშვილი	საერთაშორისო ზურაბ მაისაძე	595301022	
9.	გიორგი შალვაშვილი	საერთაშორისო ზურაბ მაისაძე	599422-802	
10.	ნინო ნიკიფორიძე	საერთაშორისო ზურაბ მაისაძე	577-95-71-11	
11.	ვიკტორია მარტოშვილი	საერთაშორისო ზურაბ მაისაძე	577-95-77-50	
12.	გიორგი შალვაშვილი	საერთაშორისო ზურაბ მაისაძე	599 14 71 11	
13.	გიორგი შალვაშვილი	საერთაშორისო ზურაბ მაისაძე	596 -11 -08 -11	
14.	გიორგი შალვაშვილი	საერთაშორისო ზურაბ მაისაძე	598 21 98 21	
15.	თამარ მამიაშვილი	საერთაშორისო ზურაბ მაისაძე	591 91 46 05	
16.	ნინო ავალიანი	საერთაშორისო ზურაბ მაისაძე	599 446 481	
17.	გიორგი ნიკიფორიძე	საერთაშორისო ზურაბ მაისაძე	598374771	

18.	Լ. Մանուկյան	Վաս. Երզնկյանի անվան Երկրագործական թանգարան	577-61-68-42	Լ. Մանուկյան
19.	Հայր Գրիգորյան	Վ. Երզնկյանի Թանգարան	558-189-189	Գրիգորյան
20.	Մանուկ Բաղդասարյան	Վ. Երզնկյանի Թանգարան	577 61 81 05	Մ. Բաղդասարյան
21.	Գրիգորյան Գրիգորյան	Երզնկյանի Թանգարան	595909590	Գրիգորյան
22.	Պետրոս Բաղդասարյան	Երզնկյանի Թանգարան	595959604	Պ. Բաղդասարյան
23.	Զեյնալ Գրիգորյան	Երզնկյանի Թանգարան	591-15-70-20	Զ. Գրիգորյան
24.	Գրիգորյան Գրիգորյան	Երզնկյանի Թանգարան	595 085-202	Գրիգորյան
25.	Երան Բաղդասարյան	Երզնկյանի Թանգարան	595 05 06 20	Երան
26.	Պետրոս Բաղդասարյան	Երզնկյանի Թանգարան	595909050	Պ. Բաղդասարյան
27.	Գրիգորյան Գրիգորյան	Երզնկյանի Թանգարան	5-95-90-10-71	Գրիգորյան
28.	Գրիգորյան Գրիգորյան	Երզնկյանի Թանգարան	5 95 90-90-58	Գրիգորյան

29.	Վահ Գրիգորյան	Երզնկյանի Թանգարան	598730037	Վ. Գրիգորյան
30.	Գրիգորյան Գրիգորյան	Երզնկյանի Թանգարան	591 512 55 7	Գրիգորյան
31.	Գրիգորյան Գրիգորյան	Երզնկյանի Թանգարան	551 558 50 9	Գրիգորյան
32.	Գրիգորյան Գրիգորյան	Երզնկյանի Թանգարան	(595) 753-263	Գրիգորյան
33.	Գրիգորյան Գրիգորյան	Երզնկյանի Թանգարան	577 576 229	Գրիգորյան
34.				
35.				
36.				
37.				
38.				
39.				

ფოტომასალა:





დანართი 3: შეთანხმებები, ნებართვები

აზბესტის შემცველი ნარჩენების განთავსების დამდასტურებელი მიღება -ჩაბარების აქტი

პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ნარჩენების განთავსების აქტი № 29338

თარიღი: 11.01.2019

სს. "საქართველოს მუცის ნარჩენების მართვის კომპანია"

საქართველოს № _____
(საქართველო)

ფაქტობრივი მფლობელი: _____
 მფლობელი სახელი: _____
 მფლობელი ვაჭი: _____
 მფლობელი მისამართი: _____

ფრთხილი / ავტორიზებული პირის მისამართი: _____
 მისამართი / საფოსტო მისამართი კოდი: _____
 სასაზღვრო ინფორმაცია: _____
 ავტორიზებული პირის მისამართი: _____
 დევიდობის მისამართი: _____ ადრესის მისამართი: _____
 მისამართი: _____

№	ნარჩენის ტიპი	მ-ბი (ტონა)	ფრთხილი ფაის (მცხ-ს ჩაივლილი)	ფაის (მცხ-ს ჩაივლილი)
1	საინჟინერო ნარჩენები (მცხ-ს ჩაივლილი)	0,700	35	36

სულ: 0,700 ტონა

თანა ავტორიზაცია: _____

მფლობელი: _____

დამატებითი ინფორმაცია:
 ამბონილი თანა მისამართი კენი-ამბონილი მისამართი მისამართი აქტივობის 17 სართ. კადასტრული დონე განმარტობის ქარაფრად მფლობელი
 განმარტების მართვითილი კომპანია/მისამართი საფარული/მისამართი საფარული

⚠ გაფაროების ფინანსური/სა უცვლილად მოვლილი აქტის (აქტების) მოცულობა

მფლობელი/საფარული: _____
 მფლობელი/საფარული: _____

საკონტაქტო ინფორმაცია: _____
 სა.კ. 6004070
 პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 0106
 (ფონი: 0-990) 321 240 88 30
 www.mtsi.com.ge info@mts.com.ge

სამსახური რეგისტრაცია:
 მისამართი სასახლე
 მისამართი კოდი
 მისამართი მისამართი
 მისამართი

სს. "საინჟინერო მართვის კომპანია"
 TBCB222
 GE 1670 7161 9960 BCF 0905
 სს. "საქართველოს მუცის ნარჩენების მართვის კომპანია"

წყალტუბოს მუნიციპალიტეტისგან წერილი სამშენებლო ნარჩენების განთავსებაზე



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY



საქართველო, ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25 ☎ (+995) 595 95 90 72 ელ. ფოსტა: tsksaltubo@gmail.com
Batumi STR.25, Tskaltubo, Georgia ☎ (+995) 595 95 90 72 E-mail: tsksaltubo@gmail.com

N 31/874
14/02/2019

874-31-2-201902141735



შპს „ჯედა“-ს სამშენებლო მწარმოებელს

პატონ მუხრან კვეციანი

პატონო მუხრან,

თქვენი მიმდინარე წლის 7 თებერვლის N718 განცხადების პასუხად, რომელშიც ითხოვთ ქალაქ წყალტუბოს ცენტრალურ პარკში არსებული შადრევნის რეაბილიტაციის პროექტში წარმოშობილი გრუნტისა და ნარჩენების განთავსებისათვის ადგილის გამოყოფას, გაცნობთ, რომ აღნიშნული ტიპის ნარჩენები შესაძლებელია განათავსდეთ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხომელში მე-14 ტურის მიმდებარედ.

პატივისცემით,

ზურაბ მასისურაძე


მუნიციპალიტეტის მერი - მპ.